შაბათი, 9 ოქტომბერი, 1904 წ. | 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 | შაბათი, 9 ოქტომბერი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 231 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 231

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . 3 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს;

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 1 „ 75 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**ზოოპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія".

გაზეთ „ივერიის" რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

ლალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად,

აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

სამკერვალო ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ანა მერკვილაძისა.

საავარაკო ადგილი

ზემო ავჭალაში, მირზოევისეულ ბაღში, იყიდება პატარა ნაჭრებად: 100, 200, 300 საჟენობით. საჟენის ფასი 3 მანეთი. მსურველთ მიჰმართონ შიო დავითიშვილს, «ივერიის» რედაქციაში.

გამოვიდა ახალი

კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

გამოვიდა და იყიდება

ახალი წიგნი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: книжная торговля Іос. Зах Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

ოქტომბრიდან გამოვა ხელახლად

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი"

იმავე პროგრამით და იმავე რედაქტორობით

წლიური გამოცემის ფასი 4 მ., ქალაქ გარედ 5 მან.

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—17).

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

შაბათს, 9 ოკდომბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ვიკშემსკისა, დონსკოი-ეიხენვალდისა, მიხაილოვისა, შიხუცკაია-მინშენკო, ხარიტონოვისა, ფერრარი და სხვ.; ბ-ნნი დონსკოი, კომაროვი, დემიანენკო, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლეჩჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

კვირას, 10 ოკდომბერს,

წარმოდგენ. იქნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

ორშაბათს, 11 ოკდომბერს,

ტფილისის მე-3 გიმნაზიის მე-8 კლასის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

წარმოდგენილი იქნება

დუბროვსკი

ოპერა 4 მოქმ., მუს. ნაპრავნიკისა.

მზადდება პირველად ტფილისში «ნერონი», მუსიკა ა. რუბინშტეინისა და «ვერტერი», მუსიკა მონიუშკოსი.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელდერი.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, 9½—10½ ს.

**ნ. ტ. მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. 11½—12½ საათ.

**მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა, 12½—1½ საათ.

**ზრ. ვ. სოგოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**საღამოთი:**

**ზრ. ვ. სოგოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა, № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროხმელნიკოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

### რუსის ჯარის მდგომარეობა.

გაზეთი «ნოვოსტი» გადმოგვცემს ერთის ცნობილის გერმანელის მხედრის აზრს რუსების ჯარის აწინდელ მდგომარეობაზე მანჯურიაში. წერილის ავტორს უკვირს, თუ როგორ გაბედა გენერალმა კუროპატკინმა იაპონელებზე იერიშის მიტანა, როცა მეექვსე და მერვე კორპუსებს მაშველი ჯარი არ მისვლიაო. ავტორს მეტის მეტად სახიფათოდ მიაჩნია აწინდელი მდგომარეობა რუსის ჯარისა მდინარე ხუნხეს ნაპირზე; იმის აზრით, რუსის ჯარს მხოლოდ ორი გზაღა დარჩენია: ან გამარჯვება ან სრული განადგურება.

ავტორი სწერს, რომ «აგვისტოში ლიოიანთან რუსებმა უკან დახევა თუ უვნებლად მოახერხეს, ამის მიზეზი ის იყო, რომ იაპონელებს კვალ და კვალ დევნას უშლიდა მდინარე ტაიძიხე და ის გარემოება, რომ იაპონელები ძალზე დაღლილი და მოქანცულები იყვნენ რვა დღის სასტიკის ბრძოლის შემდეგაო. ხოლო ამ ჟამად რუსებს მუკდენის სამხრეთად არა აქვთ იმგვარი ბუნებრივი მოკავშირე ზღუდე, არც მდინარე და არც მთაგორები, რომელთაც შეეძლოთ იაპონელებს ხელი შეუშალონ, მით უფრო ეხლა, როცა იაპონიის ლაშქარი კარგ გუნებაზეა, მშველელი ჯარიც საკმაოდ მოსდის და შესვენებულიც არისო. ეჭვი არ არის, რომ ამ ცოტას ხანში მუკდენთან უნდა გადასწყდეს პორტ-არტურის ბედ-იღბალიო.

გამარჯვება ხან ერთს ხან მეორე მხარეს გადადის და უკანასკნელად კი რუსეთს უფრო ულიმის, მაგრამ, კიდეც რომ დამარცხდეს რუსების სარდალი, ვინ გაამტყუნებს ან ვინ დაჰგმობსო. კუროპატკინმა ყოველივე საალალ-ბედოდ გახადა, ოღონდ კი პორტ-არტური დაიხსნასო, რადგან პორტ-არტურის აღება მთავარსარდალს აბრუს და სახელს გაუტეხსო. ან კი ვინ გაჰკიცხავს კეთილ-შობილს მხსნელს, თუნდაც რომ იგი დამღჩვალთან ერთად იძირებოდესო?!.. (ნოვ.).

—

**სად შეჩერდება იაპონიის ჯარი?** ამ გვარ კითხვას იძლევა ინგლისური გაზეთი «დეილი-ტელეგრაფი» და ამბობს, რომ პორტ-არტურის აღების შემდეგ, რომელიც ოკდომბრის დამლევს უნდა მოჰხდეს, იაპონელები მუკდენს აიღებენ, რადგან ეგ ქალაქი მეტად საჭიროა მათთვის, განსაკუთრებით ამ ზამთარს და, თუ არ ეს განსაკუთრებული გარემოება იაპონელთა ჯარი თელინისაკენ არ გაილაშქრებსო. (ნოვ.).

—

**მოსალოდნელი ხარჯი რუს იაპონიის ომზე.** ამას წინად იაპონიის ფინანსთა მინისტრმა გრაფმა აკუშამ სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ, თუ ვინიცობაა ომმა ორი წელიწადი გასტანა, იაპონიას დაეხარჯება 1,200-დან 1,300-მდე მილიონი იენიო. ამ რიგად იაპონიას სახელმწიფო ვალი იქნება ომის შემდეგ წინანდელ ვალებთან ერთად ორ მილიარდამდე, ხოლო რუსების ხარჯი ამ ომზე ერთი-ორად მეტი იქნება—ოთხს და ხუთს მილიარდს მიაღწევსო. (ნოვ.).

# ახალი ამბავი

—

† **არჩილ კონჭოშვილი.** სარწმუნო წყაროდგან შევიტყვეთ, რომ მახლობლებს მოსვლიათ მუკდენიდან დეპეშა, პოლკის ადიუტანტი არჩილ კონჭოშვილი მოკლულ იქმნა ერთ-ერთ ბრძოლაში ლიაოიანს ახლოვო. განსვენებული არჩილ სულ ახალ-

გაზდა იყო, 23 წლისა. ამას წინად გაათავა ტფილისში კადეტთა კორპუსი და წავიდა სამხედრო სასწავლებელში. იქ კურსის გათავების შემდეგ, პორუჩიკის ჩინით ჩარიცხულ იქმნა მანჯურიის ლაშქარში. არჩილი იყო ძმისწული ჩვენის ცნობილის მხცოვანის დეკანოზისა და სჯულის მოძღვრისა ტფ. დედათა ინსტიტუტში, მ. პეტრე კონჭოშვილისა.

*** **კახურ ღვინის ზედამედ ხმარება რუსეთში.** ამ ოცი ან ოცდა-ათი წლის წინად რუსეთში შეუძლებელი იყო წარმოედგინა კაცს, რომ კახურ ღვინოზედ შეიძლებოდა წმ. მსხვერპლის შეწირვა. ჟამნი იცვალნენ. ის ღვინო, რომელსაც რუსეთში უწოდებენ «царское вино», ყველა სუროგატს შეიცავს, გარდა ნამდვილ ყურძნის წვენისა. ეს გარემოება არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენდა. ღვინის ფალსიფიკაციამ ამ ბოლოს დროს ძალიან შეაფიქრიანა სასულიერო წოდება. რუსეთის მაღალი საეკკლესიო მმართველობა დიდი ხანია სცდილობს ეკკლესიებს მიეცეს საშუალება ღვთის მსახურება აღასრულონ წმიდა ბუნებრივ ღვინოზედ, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო დიდის საწყობების გამართვა, რომელიც დიდ ხარჯს მოითხოვდა. ამიტომ დროებით არჩიეს იჯარით გაცემა ღვინისა. მოიჯარადრეები ბევრნი გამოჩდნენ, მაგრამ მათ რიცხვში არც ერთი ჩვენი თანამემამულე არ ერია. ეხლა იმედია საქმე სხვანაირად მოეწყობა ორიოლის ეპარქიაში ყოვლად უსამღვდელოესმა კირიონმა, ეპისკოპოსმა ორიოლისა და სევისამ, წინადადება მისცა საეპარქიო სანთლის ქარხანას გამოეწერათ საქართველოდგან კახურის ღვინის ჭაშნიკები ეკკლესიებში სახმარებლად. ეხლა ორიოლის ეპარქიაში გაგზავნილია ორნაირი ჭაშნიკი კახური ღვინო კახეთის ამხანაგობისა და დ. ზ. სარაჯიშვილისა. ამ მარიამობის თვის ოცდა ცხრას, იოანნე ნათლის მცემლის თავის კვეთის დღეს, პირველად უბრძანა თურმე ყოვლად სამღვდელომ გამოგზავნილი ჭაშნიკები ეხმარათ წმ. საიდუმლოსათვის. სრული იმედია, რომ სასულიერო მთავრობა იქაურ ეპარქიალურ ეკკლესიებისათვის გაიწერს კახურ ღვინოს. ხოლო რუსეთში ისეთი მცირე ეპარქია არ არის, რომ 40,000 ან 50,000 ბოთლი არ მოუნდეს წელიწადში. მაშასადამე, ჩვენს ღვინოს ახალი და ხელის მიმცემი ბაზარი უჩნდება.

*** **თავ. თ. ციციშვილის სიკვდილი.** სხვა და სხვა ნაირად გვიამბეს ქართლის დიდის მემამულის თ-დ თომა ციციშვილის სიკვდილის ამბავი. ზოგნი ამბობენ, რომ ხაშურის ერთ ერთ სასტუმროში იყო თომა ციციშვილი და იქ მოკვ. და ეს ამბავიო. ზოგმა-კი სთქვა, თავის ქვისლის ქუმსი მაღრაძის სახლში იყო, ცალკე ოთახში ეძინა და იქ დახვდათ მსახურებს მკვდარიო. რევოლვერის ტყვია მოხვედრილი ჰქონდა ერთს საფეთქელში და მეორეში იყო გავარდნილიო. რევოლვერი, ზოგის თქმით, ხელში ეჭირა, სიკვდილ შემდეგაო. ზოგის თქმით კი, იქვე ეგდო, მის ახლოვო.

*** **ახალი ხარჯი.** ფოთიდგან გვწერენ: «პერვილის ცირკმა ლამის არის ტყავი გააძროს ისედაც დაბეჩავებულ და სულით ხორცამდე გაღატაკებულ ხალხს. ამ ვაჟბატონმა აღლო აული აქაურებს და მუდამ აჭიდავებს ცირკში ქართველსა და რუსს. როცა ჭიდაობაა დანიშნული, ჩვეულებრივ ფასებს ერთი-ორად უმატებს, მაგრამ შეუგნებელი ბრბო მაინც ბლომად აწყდება და „ამაყობს“ იმით, რომ რუსს ქართველი სჯობნის!... რაღა უნდა მეტი საქართველოს? საკვირველია, ღმერთმანი, ტფილისშიაც იმართებოდა ჭიდაობა, მაგრამ აკრძალეს და, ნუ თუ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ყურადღება არ უნდა მიაქციოს ამ გარემოებას?!»

*** **ნოქართა გაჭირვება.** კავკავიდგან გვწერენ, რომ აქაური ნოქრები აუტანელს მდგომარეობაში არიანო. დილის 6 საათიდგან შუაღამის 12 საათამდე მუშაობენ. განსაკუთრებით აუტანელია მექუდეებისა და მეუნაგირეების ნოქართა მდგომარეობა. იმას გარდა, რომ დღე-ღამეში 18 საათს მუშაობენ განუწყვეტლივ, დანარჩენი 6 საათი სძინავთ ნოტიოსა და ბინძურს ოთახში—თითოში 6—7 კაცს. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სუნია ამ ოთახებში. ასე გასინჯეთ, 11—12 წლის შეგირდებსაც ასეთი დღე ადგიათ; ეს მცირე წლოვანნი ოსტატს უნდა ემსახურონ 5 წელიწადს მუქთად, რასაკვირველია. არამც თუ პატარეებს, დიდებსაც კი კარგ დღეს არ დააყრის ასეთი ჯაფა და რაღას უნდა მოველოდეთ ამ პატარეებისაგან შემდეგში? ბევრჯერ გვინახავს შუაღამის 12 საათზედ დუქნის წინ დაძინებული პატარა ბიჭი, ტყავში გამოხვეული. საცოდავებს არც ფეხთ აცმევენ რიგიანად და არც ტანთ. ნეტა არავინ გამოჩნდება ამ გარიყულ ადამიანთა ქომაგი»?

*** **ახალი რუსული ჟურნალი.** ბ. ს. ესაძეს განუზრახავს გამოსცეს ტფილისში ყოველ-კვირეული ჟურნალი რუსულ ენაზე, სურათებითა და კარიკატურებით, სახელ-წოდებით «Кавказскій Край». ამ აზრით ბ-ნმა ესაძემ უკვე აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე. ჟურნალს ყოველ-თვიური დამატებაც ექმნება: «Кавказовѣдѣніе».

*** **ხოლერა ბაქოში.** როგორც ოფიციალური ცნობები იუწყება, ბაქოში 3 ოკდომბერს ხოლერით ავად გახდა 9 კაცი, გარდაიცვალა 3; 4 ოკდომბერს ავად გახდა 7, გარდაიცვალა 4; 5 ოკდომბერს ავად გახდა 5 კაცი, გარდაიცვალა 4, მათ შორის ორი წინანდელი ავადმყოფი.

*** **სოფლის დღეგრძელობა.** როგორც «ტფ. ფურც.»-ს გაუგია, გორის მაზრის სოფ. სბაში თურმე ამ ჟამად სცხოვრობს მეტად ღრმა მოხუცი ოსის ქალი—ჩენზე აბაევისა. რამდენის წლისაა ეხლა, კარგად არ ახსოვს აბაევისას, მაგრამ სხვა და სხვა საბუთების მიხედვით უნდა იყოს 180 წლისა. ჯერ კიდევ ყოჩაღად არის; ოჯახში ისევ ფუსფუსებს, მხედველობა ძლიერ ცუდი არა აქვს, ჰკერავს და კარგადაც არის, მხოლოდ წელში მოხრილი კია. ჩენზეს თურმე თავის დღეში მაგარი სასმელი არ დაულევია, ყოველთვის ადრე დგებოდა და უბრალო საჭმლით იკვებებოდა.

*** **მკვლელობა.** 4 ოკდომბერს ბათუმში ზუგდიდის მაზრის მცხოვრებს ევგენი კორცხიას რევოლვერით მძიმედ დაუჭრია გულში ამავე მაზრის მცხოვრები ალექსანდრე გაბუნია, რომელიც რამდენისამე წუთის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა. მკვლელობას რომანიული სარჩული უდევს. კორცხია გაქცეულა. დაეძებენ.

*** **ქველ-მოქმედთა ყურადღებას მივაქცევთ** ქვრივის დარია კიკნაძის გაჭირვებულს მდგომარეობას. დარია კიკნაძისა სცხოვრობს ვერაზედ, კირპიჩნი ქუჩაზედ, ბაბალოვის სახლებში; დედა ჰყავს უსინათლო და ერთიც პატარა ქალი, 12 წლისა. სიღარიბის მოწმობა აქვს ტფილისის გუბერნატორისაგან—№ 3781.

*** **მადლობის გამოცხადება.** გაზ. „კავკაზში» შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი: «სინტინძი, 6 ოკდემბერი. ბრძოლის დროს, 3 ოკდომბერს, ციმბირის მე-4 კორპუსის პოზიციაზედ მოვიდა იმერეთის მკვიდრი ვლადიმერ ბაჯიას ძე თავართქილაძე, რომელმაც თან მოიტანა რამდენიმე დატვირთული ურემი, კორპუსის ჯარის კაცთა დასასაჩუქრებლად მისგან შეწირული. საჩუქრები დანიშნულებისამებრ პოზიციებზედვე დაურიგდათ ჯარის კაცთ. უგულითადეს მადლობას ვუძღვნი ციმბირის მე-4 კორპუსის მხედართა სახელით ვლადიმერ თავართქილაძეს. ციმბირის მე-4 კორპუსის უფროსი გენერალი ზარუბაევი“.

*** **საქონლის ჭირი.** სოფ. ტოლებიდგან (სენაკის მაზრა) გვწერენ: «როგორც მკითხველებმა იციან, აბაშის საზოგადოებასა, ქორეის უბანსა და ტოლებში მძვინვარებს საქონლის ჭირი, რომელმაც ეხლა ცოტათი იკლო. მთავრობისაგან გამოგზავნილმა ბეითალმა და ბეითალ-ფერშალმა სულ მუსრი გაავლეს საქონელს—ჰხოცდნენ უმოწყალოდ. იკლო თუ არა ჭირმა, ბეითალი ჩვენის სოფლებიდგან წავიდა და დასტოვა თანაშემწე ბეითალი-ფერშალი.

*** **ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნოში** ძრიელ იაფად და რიგიანად ჰკერავენ ქალებისა და ბავშვების კაბებს, აკეთებენ აგრედვე ყოველ გვარ სხვა ხელ-საქმეს, საცვლებს აბრეშუმის ძაფით ჰქარგვენ, აკეთებენ მეტკებს და სხ.; ქართველი ქალები კი, საუბედუროდ, მხარს უქცევენ და თანაგრძნობით არ უყურებენ ამ ფრიად საჭირო და სიმპატიურ დაწესებულებას.

*** **აფთიაქი მცხეთაში.** პროვიზორის მეუღლემ მარ. დავ. ასულმა ალხაზიშვილისამ სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ნება დამრთეთ, რომ სოფ. მცხეთაში (დუშეთის მაზრა) დავაარსო პატარა აფთიაქი, რადგანაც სადგურ მცხეთის მცხოვრებთა და მოაგარაკეთათვის ძლიერ საჭიროა ამნაირი დაწესებულებაო.

---

*** **შეცდომის გასწორება.** გუშინ შეცდომით გვქონდა მოხსენებული, რომ ბ-ნი დიმ. დუმბაძე დაინიშნა სათავადაზნაურო სკოლის ახალ შენობის მეთვალყურედაო. ნამდვილად კი ბ-ნი დ. დუმბაძე დაინიშნა, თანახმად თვისის თხოვნისა, სათ.-აზნაურო სკოლის ახალ შენობის გამგედ და საალმშენებლო კომისიის საქმის მწარმოებლად.

---

## საგანგებო კრება

თავად-აზნაურთა ქუთაისში.

ქ. ქუთაისის მაზრის წინამძღოლ თავადის დ. ო. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით მოჰხდა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. განსახილველი იყო შემდეგი საგნები:

1) მოხსენება შესახებ ქუთაისის სააზნაურო პროგიმნაზიის კლასებისა.

2) მოხსენება რომ სააზნაურო პროგიმნაზიას დაერქვას სახელი მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსი ნიკოლოოზის ძისა.

3) მოხსენება, რომ ოთხი სტიპენდია დაინიშნოს სააზნაურო გიმნაზიაში მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის სახელზედ.

4) მოხსენება, რომ უმაღლესად ბოძებული ოცი ათასი მანეთი მოხმარებულ იქმნას დანიშნულებისამებრ.

პირველ საგნის შესახებ კრებამ დაადგინა, რათა პეტერბურგში გაიგზავნოს დეპუტაცია მის იმპერატორებითის უდიდებულესობის წინაშე შუამდგომლობისათვის, რომ უმაღლესი ნებართვა გამოითხოვოს და ხსენებული სასწავლებელი გიმნაზიად გადააკეთოს. გაიგზავნოს ეს დეპუტაცია იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ საგნისათვის პეტერბურგს გაგზავნილ გუბერ. თავად აზ. წინამძღოლის სამინისტროში შუამდგომლობა სასურველს ნაყოფს ვერ გამოიღებს. დეპუტაციის წევრებად აღირჩიეს თავად აზნ. წინამძღოლი თ-დი ს. დ. წერეთელი, თ-დი ივ. ნაკაშიძე, თ-დი ალ. გელოვანი და დავით ნ. ბაქრაძე.

პარაკლისის გადახდის შემდეგ თავმჯდომარემ განუმარტა კრებას, თუ როგორ აღენიშნათ მის იმპერატორებითის უმაღლესობის მეკვიდრე ცესარევიჩის დაბადება. კრებამ დაადგინა:

1) გაიგზავნოს ქუთაისის გუბერნ. თავად-აზნ. წინამძღოლის თ. ს. წერეთლის სახელზე პეტერბურგში შემდეგი დეპეშა:

«ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საგანგებო კრებამ დღეს სათავად-აზნაურო საკრებულოში გარდაიხადა პარაკლისი ცესარევიჩის, დიდის მთავრის, ალექსი ნიკოლოოზის ძის დაბადების გამო, აღავლინა უზენაესისადმი მხურვალე ლოცვა, რათა მისს იმპერატორებითსა უმაღლესობას მიანიჭოს დღეგრძელობა და მოგანდოთ თქვენ ფეხთა ქვეშე მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა დაჰფინოთ უქვეშევრდომილესი გრძნობა და მილოცვა თავად-აზნაურობისა; თავად აზნაურობას სულითა და გულით უხარის განგება უფლისა, რომელმაც ჩვენს სათაყვანებელს მონარქს მოანიჭა ტახტის მემკვიდრე მთელის რუსეთის ერის დიდებუ-

---

# ფელეტონი

## სადღეისოდ.

პროფესორი ბ-ნი მარრი და სომხურის ენის ძირითადი რაობა.—არხიმანდრიტი მესროპ ტერ-მოვსესიანი და ქართული საეკკლესიო ხუროთმოძღვრება.—ისრაელ ორი და სომხურ შოვინიზმის სიძველე.

ჩვენ და სომხები რომ ერთის ძმის შვილები ვიყავით, არავის ჰსჯეროდა, მეტადრე სომხის ნასწავლ კაცობას და უფრო კი სომხის მეისტორიეთ. საწყალი ქართლის ცხოვრება, რომელიც ქართველთა და სომეხთ ერთ-ნათესაობას გვაუწყებს, აგდებული ჰქონდათ. მაგრამ ქართლის მატიანის ალალს თურმე სინამდვილე უძლოდა გადასულ ჟამთა წყვდიადში და, მახვილი გონება იყო საჭირო, ამ წყვდიადისათვის კვლევის შუქი ეტყორცა და ენის შესწავლით ჩვენ და სომეხთა ერთ თესლ-ტომობის ძარღვი გამოემზევებინა. ამ მახვილმა გონებამ, არა თუ ჩვენის და სომეხთ ერთ შთამომავლობა, ჩვენი ერის ტომობრივი სიწმინდე და სიძველეც კი დაამტკიცა. აი როგორ: ჩვენი წინაპრები, რასაკვირველია, სომხებისაც, სცხოვრებდნენ აწინდელ ერევნის გუბერნიასა და ოსმალეთის იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს ვანის ტბის მიდამოებს. ცხოვრებდნენ და საკმაოდ ძლიერი ქალაქობრივი ცხოვრებაც ჰქონდათ; ასე რომ მაგ. VII საუკუნეში ქრისტეს შობამდე ხეთელთა და ურართელთა სახელ-წოდებით უწყებულნი საქვეყნო ბატონობასაც-კი ეცილებოდნენ ასურეთსა და მისრეთსა. ხეთელნი და ურართელნი ლაპარაკობდნენ ერთისა და იმავე ენის კილოებს, როგორც გვაუწყებს ინგლისელი მეცნიერი ორიენტალისტი სეისი და გააჩნდათ საკუთარი ლურსმული მწერლობა, რომლის ნაშთებს ჰპოულობენ დღეს ვანის ტბის მახლობლად კლდეებზე. მაგრამ სწორედ იმდროსვე მოელო ბოლო მათ ერად ცხოვრებას არიას თესლ-ტომის ხალხთა შემოსევითა. არიელთ შემოსევამ უფრო იმოქმედა ჩვენ წინაპართა იმ ნაწილზე, რომლის შთამომავლებად დღეს აწინდელი სომხები ითვლებიან. იმოქმედა იმდენად, რომ ენითაც და აგებულებითაც გაარჩია აწინდელ ქართველებში. ეს იყო მიზეზი, რომ მეცნიერი ორიენტალისტები სომხებს აქამომდე არიელებად სთვლიდნენ, ხოლო სომხურს—არიულ ენად. ის ნაწილი კი, რომლის ჩამომავლებად აწინდელი ქართველები ითვლებიან, ენითაც და აგებულებითაც უფრო წმინდა დარჩა. ასე რომ მათ ლურსმურ წარწერთა ამოსაკითხად დღეს უფრო გამოსადეგად გამხდარა ქართული ენა, როგორც ამას მოწმობენ ლენორმანი და სხვა კუნელოგები.

ამ ამბავს დაერთო არა ნაკლებ გულისხმა საყოფელი ამბავი, ნაუწყები პროსესორის მარისა, რომელმაც როგორც ქართველები, ისე სომხები, ქართულ-სომხურის ღრმად შესწავლისა და, მათის ორთავ სემიტურ ენებთან შეფარდების შემდეგ, აღიარა სემიტელებად, ესე იგი სემის ხალხთა, ებრაელთა და არაბთ მონათესავედ. სომხურის ენისა და მის ქართულთან მიმართობისთვის უმთავრესი მოსაზრება ბ-ნმა მარმა კიდეც გამოთქვა თავის აზრი შარშან გამოცემულ წიგნში, რომელსაც ჰქვია გრამატიკა დრევნე არმიანსკავო იაზიკა. აი როგორ:

„სულ სხვა საგანია ენა სომხურ, ანუ განურ ლურსმურ წარწერთა, რომელთაც ჰპოვებენ, როგორც ძველის წარმართობის ნაშთს სომხეთში, განსაკუთრებით ვანის ტბის მახლობლად. როგორცა სჩანს, ეს ენა სომხეთის ის ენაა, რომელიც ჰქონდა არიელთ შემოსევამდე, მაშასადამე არა-ინდოევროპული. ხოლო მიმართობა აქვს ჩვენებურ სომხურთან და, თითქოს ფრიად არსებითიც, მაგრამ ორ მის ძირითად ძარღვთა შორის სახელდობრ იმასთან, რომელიც ენათესავება ქართულსა (წინასიტყვაობა XXX, სქოლიო I)... სომხური ენა ფრიად ხასიათებრავი ნიმუშია ნარევის ენისა... თვითონ გული კი ორ გვარი აქვს... სომხურის ენის ინდო-ევროპულ ძარღვთან განუწყვეტლივ შეერთებულია ნაშთი რაღაც არა უწყებულის სალინგვისტიკო სახლობისა. სახე ამ არა უწყებულის სიდიდისა თანდათან გამომჟღავნდა, როცა ვიკვლევდი ქართულის ენის ნათესაობას სემიტურ ენებთან. ფაქტებმა დიდი ხანია მაიძულა შეწყნარება მისი, რომ ქართული ენათესავება სემიტურ ენებსა, თუმც ისე არ უახლოვდება, როგორც სემიტური ენები ერთმანერთსა. მეორეს მხრით, ცხადი შეიქმნა ჩემთვის, რომ სომხური ენა თავისის ბუნების ზოგიერთის არსებითის კერძით ენათესავება ქართულსა (წინა-სიტყვაობა XXXI). სხვა-და-სხვა დონით გაჯდომის სომხურ ლექსიკას ძველი ადგილობრივი სიტყვები არა არიელთ ნათესაობისა, დამკვიდრებული სომხეთის ენისაგან, რომელიც მონათესავეა ქართულისა... მასთანვე ჯერ კიდევ არც ის არის გამორკვეული, დამკვიდრებულა მრთლად ეს ნორმები (სახელთ ძირებისა) ინდოევროპულის ენისაგან, რომელიც შემოიტანია სომხეთში არიელთ შემოხიზნვას, თუ შემდეგში დამუშავებულა...(გვ. 60).

ამ საგნის გამორკვევას არა ნაკლებად უნდა შეუწყოს ხელი აგრედვე ძველ ქართულ ენის გრამატიკამ, რომელსაც ბ-ნი მარი გვპირდება (წინასიტყვაობა XXXII), რადგანაც გამორკვეული ექნება არა მარტო ძველი ქართული, არამედ ლექსიკოლოგიაც შედარებით სემიტურ ენებთან და სომხურთანაც აგრედვე. მხოლოდ სასურველია ქართულის კილოებს: სვანურს, მეგრულს და ჭანურს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს, რადგანაც ნამდვილი ბუნება ძველ ქართულ ენისა მარტო ეხლანდელ ქართულში, თუნდ ძველშიაც, არ მოიპოვება და საჭიროა მისი ძიება ქართულის ენის სხვა კილოებშიაც.

ამას შემდეგ რაღა საბუთი უნდა ჰქონდეს იმ აზრს, სომხის სწერალთ ასე სათაყვანოს, ვითომც ერთნაირი ქართულ-სომხური სიტყვები და სახელთ ძირები უთუოდ სომხური უნდა იყოსო.

---

ასეთი აზრი აქვთ ჩვენს ნასწავლ მეზობლებს არა თუ მარტო ქართულ ენისთვის, არამედ ყველაფერში, რაც ქართველთ კულტურას და ისტორიის დიდების ელფერსა ჰსდებს. მაგალითად, ქრისტეანობის გავრცელება, ხუცური ანბანის გამოგონება, ბაგრატიონთ მეფობა და მათი ძლევა-მოსილება, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება თურმე სულ სომხების ნაწყალობევია, ხოლო თვითონ საქართველო დიდი სომხეთის ნაწილი ყოფილა. ამის უარყოფას და წინააღმდეგის თქმას რომ გამოვუდგეთ, ერთობ შორს წაგვიყვანს, რადგანაც მთლად ჩვენის ისტორიის დაწერა გაჰხდება საჭირო, მაგრამ მათ შორის ორ საგანს კი არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არ უძღვნა და შემთხვევაც მოგვეცა. პირველია ქართული საეკკლესიო ხუროთმოძღვრება. მოგეხსენებათ, რომ საბერძნეთმა, როგორც საქართველოში, ისე სომხეთში მარტო ქრისტეანობა გაავრცელა, თორემ ეკკლესიათა შენების ღონე საკუთარი გამოიჩინეს როგორც ქართველებმა, ისე სომხებმა. მაშინ, როცა ბერძნებმა საეკკლესიო გუმბათი ცისებრ სარქვლიანი დაიმუშავეს, ქართულ-სომხურ ეკკლესიებს გუმბათი თავ-წვეტიანი დაედგათ. ქართველებმა და სომხებმა ასეთის გუმბათის გეგმა გარემო ბუნებაში იპოვეს, თუ საკუთარის ფანტაზიით შეთხზეს, მისდიეს და განავითარეს, მაგრამ, პროფესორის კონდაკოვის აზრით, ქართველებმა ისეთი მოხდენილობა მისცეს თავიანთ ტაძრებს თუ გუმბათის და თუ მათის ჩუქურთმების თავისებურობით, რომ სომხებს ბევრად გაუსწრეს, ასე რომ, როგორც იგივე აღიარებს, დაიბადა სტილი სომხურ-ქართული კი არა, როგორც ევროპიელ სპეციალისტებს ჰქონდათ მანამდე შემოღებული ხუროთმოძღვრების ისტორიაში, არამედ ქართულ-სომხური. არქიმანდრიტი მესროპ ტერ-მოვსესიანცი, რომელმაც გამოიკვლია ეჩმიაძინის მახლობლად ამონათხარი წმ. გრიგორის ეკლესიის ნანგრევები, საამისოდ დაწერილ თავის წიგნში რასკოპკი ცერკვი სვ. გრიგორია ბლიზ ეჩმიაძინა (გვ. 48) ამბობს:

„ერთ ადგილს ნ. პ. კონდაკოვს გაკვრით გამოუთქვამს ასეთი აზრი: საქართველოს მთიანი მდებარეობა უფრო ხელს უწყობდა ხურო-მოძღვრების განვითარებას, ვიდრე სომხეთის დავაკებულებაო. თავი რომ გავანებოთ სომხეთისა და საქართველოს შედარებას და შევადაროთ მხოლოდ მთიანი ადგილები და დავაკებულება თვითონ სომხეთისა, ეს აზრი არა თუ არ დამტკიცდება, არამედ სულ საწინააღმდეგო აზრს დაგვიმტკიცებინებს. ერთი რომ სომხეთი საქართველოსთან შედარებით შეცდომით თუ ჩაითვლება უფრო დავაკებულად, ხოლო თუ ვნახავთ, რომ თვითონ სომხეთში ხუროთმოძღვრების განვითარებას ხელი შეუწყო არცახის და სიუნიკის (ყარაბაღის), ვასპურაკანის (ვანის ვილაიეტის) და სხვ. მთიანმა მაზრებმა კი არა, არამედ განსაკუთრებით არარატის და შირაქის ვაკემ, დავრწმუნდებით, რომ ხურო-მოძღვრების განვითარებისათვის მარტო მთები არა კმარებულა. მასთანავე კიდევ სომხეთის ვაკეში ბლომად და ადვილად იშოვება კარგი საშენი ქვა, ფერადი ტუფი და სწორედ ამ გარემოებამ და არარატის ვაკის კულტურის საერთო ამაღლებამ შეუწყო ხელი შენების ხელოვნების განვითარებას, რომლის უთავრეს ცენტრად V და VI საუკუნეში იყო ვაღარშაპატი, სადაც აშენდა, თუ შეკეთდა ეჩმიაძინის, რიფსიმეს, გაიანეს მონასტრები და წმ. გრიგორის ეკკლესია.

მამა მესროპის აზრით, სომხეთის ხუროთ მოძღვრების განვითარებისათვის ხელის შემწყობი ყოფილა მისივე ვაკე ადგილები. თუ ასეა, თავწვეტიან ბორცვების სახედ გუმბათები სომხებმა საიდგან შემოიღეს? ნუ თუ არარატისა და შირაქის ვაკეში ხედვენ ისეთ წოწოლა

ლის მომავლის სანუგეშოდ და საიმედოდ».

2) გაიგზავნოს შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე შემდეგი დეპეშა:

«ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ სასოებით და განუსაზღვრელის სიხარულით მოისმინა დიადი ამბავი მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებისა და ერთხმად დაადგინა—ფერხთა ქვეშე მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა დაჰფინოს უქვეშევრდომილესი გრძნობა და აღძრულ იქმნას უქვეშევრდომილესი შუამდგომლობა, რათა ქუთაისის სათავად-აზნ პროგიმნაზიას დაერქვას სახელი მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსისა და ამავე სასწავლებელში დაინიშნოს ოთხი სტიპენდიაი მემკვიდრე ცესარევიჩის სახელზე რუსეთ-იაპონიის ომში მოკლულ ქუთაისის გუბერნიის მკვიდრ მეომართა ობლებისათვის».

შემდეგ თავმჯდომარემ წაუკითხა მისალოცი დეპეშა, რომელიც მიუწერია შინაგან საქმეთა მინისტრის თავ. სვიატოპოლკ-მირსკისათვის მისის დანიშვნის გამო ახალ თანამდებობაზედ და მინისტრისავე პასუხი ამ მოლოცვაზედ. მოგყავს აქ ეს ორივე დეპეშაცა:

«ჩვენ მიერ სათაყვანებელ მონარქის თქვენ დ უმაღლესის ნდობის გამოცხადებისა დ თქვენის ბრწყინვალების შინაგან საქმეთა მინისტრის დიდს თანამდებობაზე დანიშვნის გამო მიიღეთ უგულითადესი მოლოცვა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა, რომლის ხსოვნიდგან არასოდეს არ აღმოიხოცება სასიამოვნო მოგონება განსვენებულის მამის თქვენისა, დიმიტრი ივანეს ძის და მისის ქებულის ოჯახისა, მოგონება კაცთ-მოყვარის, გულკეთილის და სამართლიანის გენერალ-გუბერნატორად ნამყოფისა.

ვსთხოვთ უზენაესს, მოგანიჭოსთ თქვენ, თავადო, დღეგრძელობა მრავალ-ჟამიერ, მოგანიჭოთ შეურყეველი ძალა და მხნეობა სულისა ტახტისა და მამულის სასარგებლოდ».

პასუხი:

«მოგესალმებით გულითა და სულით. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მიერ მოძღვნილი ლმობიერი სალამი ღრმად ჩამწვდა გულში. გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულ-წრფელი მადლობა განსვენებულის მამის ჩემის ხსოვნისათვის. გულითა და სულით ვმადლობ თავად-აზრაურობას ჩემთვისაც კეთილის მონდომებისათვის».

დიდი კამათი გამოიწვია მეოთხე საკითხმა. კიდევ ძველებურად ასტეხეს ბაასი, უმაღლესად აღთქმული 20 000 მანეთი სკოლებს მოვახმაროთ თუ სტიპენდიებსაო. უმეტესობა სტიპენდიების მომხრე იყო; მაგრამ თავმჯდომარემ მაინც საუმჯობესოდ დაინახა 5 ოკდომბრისათვის გადაედო ამ საგანზე მსჯელობა, რადგანაც უქმე დღის გამო კრება უფრო რიცხვ-მრავალი იქმნებოდა და ასეთის კრების გარდაწყვეტილება—უფრო საფუძვლიანი.

X.

# რუსეთი

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ორიოლი.** აქაურ სემინარიაში მიიღეს ათი ქართველი მოწაფე. აი მათი გვარი და სახელები: პირველ კლასში მიიღეს შვიდი მოწაფე. 1) ალავერდაშვილი იროდიონი, 2) ახმეტელაშვილი ანდრია, 3) დაქიშვილი მოსე, 4) კალანდარაშვილი ალექსანდრე, 5) ცუცუნაშვილი იოსები, 6) ხატისკაცი გიორგი, და 7) ჯოგავა ერმოლაოს.

მეორე კლასში: 1) კეკელიძე ანდრონიკე და 2) ცხომელიძე იასონ, ხოლო მესამე კლასში 1) ქოქოშვილი გიორგი.

ეს პირველი მიგალითია, რომ ორიოლის სემინარიაში ქართველი მოწაფე ყოფილიყოს როდისმე და ისიც ამდენი. იმედია, ეს მოწაფენი კარგად წაიყვანენ თავიანთ საქმეს, როგორც სწავლით, ისე ყოფაქცევით და მით ასახელებენ მშობლებსაც და თავიანთ ქვეყანასაც. ამით გზა სწავლისა მიეცემა მომავალ ქართველთა მოწაფეთაც. მით უფრო ადვილია ესა, რომ კარგის თვალით უყურებენ, როგორც უფროსნი სემინარიისა, აგრეთვე მასწავლებელნი. რექტორი სემინარიისა დეკანოზი მ. ვლ. სახაროვი მეტად ტკბილი და კეთილი კაცია, თავის მამობრივ ზრუნვას ერთნაირად უწილადებს ყველა მოწაფეებს და მოწაფენიც აფასებენ მისს ღვაწლსა და ძალიანაც უყვართ.

თუმცა ქართველ კაცისთვის ძნელია მკაცრის ჰაერის ატანა, მეტადრე სამშობლოს დატოვება, მაგრამ რაკი გარემოება ნებას არ აძლევს სამშობლო ქვეყანაში სწავლა განათლების მიღებას, ამიტომ მეტი ღონე არ არის, ნელ-ნელა უნდა შეეჩვიონ ჩრდილოეთის ჰავას.

მღვდელ-მონაზონი ტარასი.

# თეატრი და ხელოვნება

ქართულ თეატრის სეზონის დაწყება. როგორც გუშინ ვაუწყეთ მკითხველებს, დანიშნულია სახაზინო თეატრში ოთხშაბათს, 13 ოკდომბერს. წარმოდგენას საიუბილეო ხასიათი ექნება—თ. გიორგი ერისთავის სახსოვრად, რომლის გარდაცვალებიდან წელს შესრულდა 40 წელიწადი (1864 წ. სეკდემბერი 9). წარმოდგენილი იქნება მისივე პიესები: «გაყრა» ერთი მოქმედება, „ძუნწი“ ერთი მოქმედება, «დავა» ორი მოქმედება და დასასრულ გაიმართება სადღესასწაულო აპოთეოზი. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ადგილების ფასი სახაზინო თეატრში დაკლებული და ყველასათვის ხელმისაწდომი იქნება.

ხოლო შაბათ-კვირა ქართული წარმოდგენები გაიმართება საზოგადო საკრებულოში.

ქართული წარმოდგენა კავკავში. კავკავიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ სცენის მოყვარულთ, ბ-ნ ყაზბეგის მეთაურობით, 3 ოკდომბერს გაუმართავთ თავ. გ. ერისთავის სახსოვრად წარმოდგენა. უთამაშნიათ ერისთავისავე «ძუნწი» და «უჩინ-მაჩინის ქუდი». წარმოდგენას მწყობრად ჩაუვლია და ხალხიც დიდად კმაყოფილი დარჩენილა წარმოდგენის დასასრულ ბ-ნ ლ. ბოცვაძეს წაუკითხავს გ. ერისთავის ბიოგრაფია. სცენაზე დადგმულ და ყვავილებით მორთულ ერისთავის დიდ სურათის წინაშე. სასიამოვნოა, რომ პროვინციაში სცენის მოყვარულნი შეგნებით ეკიდებიან თეატრის საქმეს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 ოკდომბერი

**ტოკიო**, 6 ოკდომბერი (რეიტერი). მთავრობამ გადასწყვიტა რუსეთის ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ რუსები ჩინურ ტანისამოსს იცმენ ბრძოლის დროს. ნოტა გადაეცემა პეტერბურგში ამერიკის საელჩოს ხელით. გარეშე საქმეთა სამინისტრომ შეადგინა მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნულია, 22 სეკდემბერს რუსის ქვეითი ჯარის რაზმმა ჩინური ტანისამოსი ჩაიცვა და ისე თავს დაესხა იაპონელებსა; მეორედ ამ ტანისამოსშივე გამოწყობილნი ეპარებოდნენ იაპონელებს. რუსები ბლომად ყიდულობენ ჩინურ ტანისამოსსა. ბოლოს წერილშია მოხსენებული, რომ ეს გარემოება კარგი არ იქნება ჩინელთათვის, რადგანაც ვეღარ გავარჩევთ რუსებისაგანაო.—პარლამენტი შეიკრიბება 15 ნოემბერს. პირობის წერილს მაგატას საფინანსო მოთათბირედ დანიშვნის შესახებ კორეაში ხელი მოაწერეს.

**ჩიფუ.** (რეიტერი). იაპონელი ვაჭრები, რომელნიც პორტ-არტურთან არიან, აფიცრების სიტყვით, ამბობენ, ციხეს ერთის თვის განმავლობაში აიღებენო. ზარბაზნებს კიდევ გზავნიან დალნიდან.—დიდი ჯარები მიდის გენზანისაკენ.—ხორბლით დატვირთული იაპონიის გემი დაიღუპა კუნძულ მიაოდაოსთან.

**პეტერბურგი.** (რიტცაუს სააგ.). ეს არის მოვიდა დიდს ბელტას რუსის დიდი სამხედრო გემი და 8 თუ 9 ნაღმოსანი.

**შანჰაი.** (რეიტერი). დასავლეთ კვანტუნში ავაზაკთა ბრბოები გაჩნდა და სურთ არეულობა გამოიწვიონ კანტანის პროვინციაში.

**ლონდონი.** (რეიტერი). რადგან ლედი კერზონი ავად გახდა, ამიტომ ლორდ კერზონმა ინდოეთს წასვლა გადასდო ნოემბრის დამლევამდე.—1901 წლიდან შემთხვევა ვერ მიეცა, რომ ავგანის ემირს ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელი ენახა და საზოგადო საქმეებზე მოელაპარაკნა. ამ ჟამად ემირმა წინადადება მისცა, გავგზავნი ჩემს უფროს შვილს ინდოეთს კერზონის სანახავადაო, ამასთანავე სურვილი განაცხადა, ინდოეთის მთავრობის თანამდებობის კაცს მივიღებ ქაბულშიო, უკეთუ მინდობილი ექმნება მოილაპარაკოს იმ საგანზე, რომელიც შეეხება ემირისა და ინგლისის დამოკიდებულებასა.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის განყოფილება „Associeted Presce“-სა ამბობს, დავალებული ვარ უარვყო ცნობა, ვითომ შეერთებულ შტატებს განზრახვა აქვს მებრძოლი სახელმწიფოები მოარიგოს. ვაშინგტონის მთავრობას ფიქრადაც არა ჰქონია ამგვარი რამე.

**ტოკიო.** (რეიტ).როგორც სანდო წყაროდან იუწყებიან, კერძო კაცთა გამოანგარიშებით, იაპონიის მარცხენა ლაშქარს დაჰზარალებია 5 ათასი კაცი. რუსებს 13 ათასი მაშველი ჯარი მოუვიდათ. სულ ექვსი დივიზიაა ამ ლაშქრის წინააღმდეგ. დიდი თქეში უშლის ჯარს მისვლა-მოსვლას.

**ბერლინი.** იმის გამო, რომ რუსის ჯარები ჩინურ ტანისამოსს იცმენო, «კელნიშე ცეიტუნგი» ამბობს: როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, რუსის ჯარის კაცნი იცმენ ჩინურს ტანსაცმელს სიცივეებისა გამო. თბილი ტანისამოსი ხარბინში დარჩა და თავის დროზე ვერ მიიტანეს ავდრების მიზეზით. ამგვარი შემთხვევები 1870 წ. იყო გერმანიის ლაშქარში.

**სკაგენი.** 7 ოკდომბერს დილით, ალბეკის ნავსადგურში, სკაგენიდან სამხრეთად, მოვიდა რვა რუსის სამხედრო გემი ბალტიის ესკადრისა. რვა საათზე კუნძულ ხისრხოლმთან კიდევ რვა სამხედრო გემმა გაიარა.

**სალონიკი.** ბოლგარელი მღვდელი მოჰკლა თავის სახლის წინ ბერძენმა. ბოლგარელთა შორის სალონიკში დიდი აღელვებაა.

8 ოკდომბერი

**ხარბინი**, 7 ოკდომბერი (საკ. კორ.). სამხრეთის ფრონტზე საქმეთა მდგომარეობაში ცვლილება არა მომხდარა-რა. 6 ოკდომბერს შეტაკება არ ყოფილა.—გენერალ გრეკოვის რაზმმა დაზვერა ადგილები აღმოაჩინა, რომ სანდეპუში დიდძალი მტერია თავმოყრილი არტილერიითა და ტყვის მფრქვეველებითა.

**ლონდონი.** ოქუს ლაშქარში მყოფი „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი 3 ოკდომბრის თარიღით იუწყება, იაპონელებმა შვიდი დღის ბრძოლის განმავლობაში დაჰკარგეს სამი ათასი კაცი მოკლულ-დაჭრილი. რუსებს დიდი ზარალი მოუვიდათ, განსაკუთრებით გაათფრებული იერიშების დროსა ყოველი სოფლის წინააღმდეგ, სადაც კი იაპონელნი იყვნენ. ბევრგან იერიშით მისული რაზმები სულ შეიმუსრა. რუსები ყველგან მამაცურად და კარგად იბრძოდნენ, მაგრამ იაპონელნი მაინც ვერ გამოდევნეს. მარცხენა ლაშქარი გაჭიმული იყო ომის დროს ათი ვერსის მანძილზე, იმან წაიწია წინ ხუთ მილზე. რუსები ომის შეუწყვეტლად კარგად იცავდნენ არტილერიის შემწეობით უკან დაწევას და თან წაიღეს ბარგი და მრავალი დაჭრილნი. 3 ოკდომბერს ორმა რუსის პოლკმა და ორმა ბატარეიამ ძლიერი იერიში მიიტანეს ლაპუტუნზე, მაგრამ ნახევარ საათის ბრძოლის შემდეგ უკუ აქციეს. ამ ლაშქრის წინააღმდეგ მოქმედობს რუსის სამი კორპუსი, 30 ბა-

შორცვებს, რომ მისით აღტაცებულებს ეკლესიის გუმბათი კორპუსის ზომაზედ მეტი აუყვანიათ, რაც შეიძლება მაღლა? შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ ჩვენის დედა-ქალაქის და ქუთაისის სომხის ეკკლესიები და შევადაროთ რომელსამე ქართულს ეკკლესიას, სიონი და მეტეხიც რომ არ ვახსენოთ, რას ვხედავთ? სომხის ეკკლესიების კორპუსისა და გუმბათის შეუსაბამობას უკანასკნელის წოწოლობის გამო. მაგრამ ეს შეუსაბამობა სომხებს ეგების დასჩემდათ მას შემდეგ, რაც საქართველოს შემოეხიზნენ და მოსწყდენ თავიანთ ხუროთ-მოძღვრების საუკეთესო მინუშთ ხილვასა. თუ ასეა, შევადაროთ მამა მესროპისაგან ზემოდ ჩამოთვლილი ვაღარშაპატის ეჩმიაძინი და სხვა მონასტრები გელათს და სხვა ჩვენებურ საეკკლესიო ხუროთმოძღვრების საუკეთესო მინუშებს. ქართული რომ ვამჯობინოთ, თავის ქება გამოვა, მხოლოდ კიტრად სალირალი და სპეციალისტ კონდაკოვს კი უთუოდ საბუთი ჰქონია, რომ ქართული ხუროთ-მოძღვრება უმჯობინებია სომხურისათვის. მამა მესროპი ვერ ეთანხმება კონდაკოვის აზრსა, მაგრამ ის არა სჯობია, რომ თუ ქრისტიანობა საქართველომ ვითომ სომხეთისაგან მიიღო, ეკკლესიის გეგმაც მისგანვე გადმოეღო და მისებრ კი ვერ განევითარებინა?!

—

მეორე გახლავსთ ის, რომ საქართველო სომხეთის ნაწილი ყოფილა და ჩვენ კი ჩვენად ამაოდ მიგვიჩნევია. ამას არ შევეხებოდი, სათავედ საკმაოდ შორეული ნამყო არ ჰქონოდა და მამა მიქელ თამარაშვილის წიგნს არ მოეცა ჩვენთვის კარგი შემთხვევა. მოგეხსენებათ პატივცემულმა მამა მიქელმან თავს იდვა ერთი დიდი საქმე და კიდეც შეასრულა. გულწრფელ მამულიშვილს გულს უკლავდა სომხის მწერალთ ახირებული მსჯელობა, რომ კათოლიკე ქართველები არასოდეს არ ყოფილან და, თუ ვინმეა დღეს საქართველოში კათოლიკე, უთუოდ სომხის შთამომავალიაო. ნამდვილად რომ საქართველოში გავრცელდა კათოლიკობა, ამას კარგად ამტკიცებს მისი დიდი თხზულება ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის და რომ ქართველებში გავრცელებულა ეს კათოლიკობა და არა სომხებში, ამასაც ცხად ჰყოფს მისივე ეხლახან გამოსული წიგნი პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარ ჰყოფენ ქართველთ კათოლიკობას. აი ამ წიგნში ვპოვეთ საბუთები მისი, თუ როდინდელი ამბავია ესრეთ წოდებული სომხის შოვინისტ-აზგასერების მისწრაფება საქართველოსა და ქართველთა მიმართ. უეჭველია ამ მისწრაფების მთავარ შემოქმედად უნდა ჩაითვალოს XVII საუკუნის სომხის მოღვაწე ისრაელ ორი, მამულის განთავისუფლებით გამსჭვალული, მაგრამ არ დამდევი ღონისძიებისა. იმდენად გულის ხმა საყოფელი ამბავია ეს ამბავი, რომ ვამჯობინეთ, თვითონ მამა მიქელ აგველაპარაკებინა:

ხოლო ისრაელ ორი... ევროპაში წავიდა... რასმე გამხდარიყო, რომ განეთავისუფლებინა სასომხეთა ოსმალებისა და სპარსელებისაგან... პრუსიის მთავრობამ თანაგრძნობა გამოუცხადა. იქაურმა მთავარმა პალატინ-ამომრჩეველმა, ივანე ვილჰელმმა, დიდი სურვილი გამოაცხადა ამ გაჭირვებულის ქრისტიანების შესაწევნელად. ამას ისრაელ ორმა თავისი თავი ისე მოაჩვენა, ვითომც საქართველოს მეფის გიორგის მიერაც ყოფილიყოს გაგზავნილი შემწეობის სათხოვნელად. ამასთანავე დააჯერა, რომ საქართველო სასომხეთის ნაწილია, დიდ სასომხეთში იმყოფება და იქაური მორწმუნე ქრისტიანები სულ სომხები არიანო. იმ მთავარმაც გიორგი მეფეს მეგობრული წერილი მისწერა 1698 წ. 3 მაისს: „ივანე ვილჰელმი, ღვთის წყალობით, მთავარი პალატინი რეინისა, წმიდა რომის იმპერიის მოლარეთუხუცესი, თქვენს უმაღლესობას და უბრწყინვალესობას, ბატონს გიორგის, დიდს მთავარს საქართველოისას დიდ სასომხეთში და ყოველის სასომხეთის ქრისტიანების წარჩინებულ პირველს მთავარს და წინამძღვარს, ჩვენს ერთგულს მეგობარს, მშვიდობა... ამ წერილში მოუთხრობს, რომ ისრაელ ორმ ევროპის მთავრობანი ინახულა შემწეობის სათხოვნელადაო. უცხადებს, მზათ ვარ ყოველგვარი შემწეობა აღმოვუჩინო და ეგრეთვე ამაზედ სხვა მთავრებიც შევაგულიანოო, ხოლო სთხოვს, რომ კარგად დაარწმუნოს ამ ისრაელის ყოველი ნათქვამის სინამდვილე და უჩვენოს გზა და ღონე, თუ როგორ უნდა შეეწიოს. ეს წიგნი ისრაელს გიორგი მეფისთვის კი არ გადაუცია, არამედ ნახჩევნის მოწინავე სომხებისათვის მიუტანია. ამასაც საჭიროდ არ დაუნახავსთ, ეს წიგნი პატრონისათვის ჩაებარებინათ! ერთის წლის შემდეგ იმ მთავარს თვით ეს სომხები პასუხად სწერენ, სხვათა შორის, ამას: «ჩვენ, მთავარნი და წინამძღვარნი დიდის სასომხეთისა... ჩვენ არა ვსცანით საჭიროდ, რომ გარდაგვეცა საქართველოს მეფისათვის ის წერილი, რომელიც იყო მისთვის გამოგზავნილი თქვენის უმაღლესობის მიერ. ამის შესახებ უმორჩილესად მოახსენებს ისრაელ ორი თქვენს დიდს უმაღლესობას. ყოველ შემთხვევაში კი ჩვენ მალე წავალთ და ვნახავთ ხსენებულ მთავარს, შევატყობინებთ ჩვენს საქმეებს და ვთხოვთ დაკავშირებასაც. ამაზედ ყველაფერს გაცნობებთ შემდეგში ორის მიერ თქვენს უმაღლესობას...“

ისრაელ ორი თუ მართლა იყო გაგზავნილი გიორგი მეფისაგანაც, ჩვენი ისტორია არასოდეს გვეუბნება და არც მისიონერები იხსენიებენ რასმე. ამის მსგავსი რამე რომ ყოფილიყო, უეჭველად ასეთ მნიშვნელოვან გარემოებას ისტორია არ გაუჩუმდებოდა. უფრო საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, იმ ინტრიგანტის (ასე უწოდებს ისტორია) სომხის მოქმედებულ საქმეში გიორგი მეფეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, იმ მოწინავე სომხებს რა უფლება ჰქონდათ, მისი წიგნი თვით დაეჭირეს და არ გადაეცეს! ამ წიგნში არც სასომხეთისათვის და არც საქართველოსათვის რამე წინააღმდეგი-კი არა, ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო და სასიამოვნო ამბავი იყო, სწორედ ის ამბავი, რასაც სომხები და მათი მოციქული ისრაელი ნატრობდნენ. რადგან იმ წერილში გამოუვანილია ის აზრი და სურვილი, რომელსაც ვითომც გიორგი მეფე უცხადებდა ომის შესახებ, სწორედ ამის გამო არ გადასცეს, რათა თავიანთი მოციქულის სიცრუე არ გამომჟღავნებულიყო. ამას ცხადად გვიმტკიცებს თვით აქ მოყვანილი სომხების პასუხი, ვინაიდგან ეუბნებიან წიგნის მომწერს ივანე მთავარს, რომ მალე გიორგი მეფეს ვნახავთ, ჩვენს საქმეს შევატყობინებთ და თან დაკავშირებასაც ვთხოვთო. თქმა არ უნდა, აქამდე გიორგი მეფეს არ სცოდნია სომხებით გარემოება, არც ევროპაში მათი კაცის გაგზავნის ამბავი და სხ. ამნაირის სიცრუის ისრაელ ორმ თავისი თავი გიორგი მეფის ელჩადაც დასახა ევროპიელების წინაშე და იქაურებიც დააჯერა, საქართველო დიდ სასომხეთშია და ყველა იქაური ქრისტიანებიც სულ სომხები არიანო. აი სიმართლის მოციქული!

არც იმისი საბუთი გვაქვს, თუ მართლა სომხები ენახულენ გიორგი მეფეს და მასთან მოილაპარაკეს, ანუ, მართლა გიორგი მეფემ შემდგომ მიანდო ისრაელ ორის, წასულიყო და იმისი სახელით კავშირი შეეკრა სხვა სახელმწიფოებთან. ხოლო თუ დავუჯერებთ იმ ორის, იგი იმავე ივანე მთავართან მისულა და წერილით ვრცელი მოხსენება მიუცია 1704-ს, სადაც, სხვათა შორის, ამბობს: «მე დავუწყე თხოვნა ბატონს, საქართველოს მთავარს, რათა (თავის ერებთან ერთად შეერთებული) დაუკავშირდეს მათ ხელმწიფეებს, მაშინ მას დაუმტკიცებენ ამ ომის სარგებლობას. რადგანაც საქართველოს მთავარი დიდი ხანია იცნობს ჩემს ნათესავებს და მეც ძრიელ ვუყვარვარ, ყველაფერი მე მომანდო. რასაც მე ვარიგებ, ყველაფერზე თანახმა იყო; ეგრეთვე იგი ნატრობს, სამუდამოდ დაუკავშირდეს მათს საიმპერატორო ხელმწიფეებს, როგორათაც მათმა იმპერატორობამ, ისე თქვენმა უმაღლესობამ ნახეს იმის წერილებიდგან». ყველა ამა სიცრუის გამოსაცხადებლად კმარა მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ გიორგი მეფე დიდი ხანია განშორებული იყო საქართველოდგან, რადგან ის წავიდა სპარსეთში 1696 წ. და იქიდგან აღარც-კი დაბრუნებულა. (გვ. 41, 42, 43, 44).

თუ ისრაელ ორისთანა სომხის მოღვაწეები გიორგი მეფის საქართველოს თავის დედაქალაქიანად დიდის სომხეთის ნაწილად და მის ქვეშევრდომთ ყველას სომხებად რაცხდნენ, რა გასაკვირველია, ქართველთ დედა-ქალაქის სამიტროპოლიტო ტაძარი სიონი და მისი მიტროპოლიტი ტფილელიც სომხებისად ჩაეთვალათ, მაგრამ არც ისეთის დასაკუთრებით, რომ საქართველოს მცხოვრებთა შორის ქართველებიც არ ყოფილიყვნენ, რასაკვირველია, არა ღირსებით შემკულნი, არამედ ისეთნი, რომ არც წონა ჰსცოდნიათ, არც თვლა და არც ფულის ხმარება და დედა-ქალაქშიაც, სადაც თურმე მოსახლე 20,000 ყოფილა, ქართველებზე მოდიოდა 2000, თათრებზე 3000 და რომის კათოლიკეზე 500. დიდძალ უმეტესობას-კი შეადგენდენ თურმე სომხები, რომელთა რიცხვიც ყოფილა 14,000. გასავალი რომ უფრო მეტი ჰქონოდა, ასეთი აზრები ჩაუგონებიათ იმ დროინდელისავე მგზავრის ტურნეფორისათვის, რომლის გამოც მამა თამარაშვილი ლაპარაკობს ასე:

უწინარეს, ტფილისის შესახებ აი რას ამბობს: „უფრო მომეტებულად იმან გამაკვირვა, რომ ქართველები შეურაცხ ჰყოფენ ფულს და არ ჰყიდიან თავიანთ ხორაგეულს. არც საჩუქრად, ესე იგი, არც უსასყიდლოდ აძლევენ, არამედ სცვლიან სამარჯვნებსა, მძივის საყელ-საბმელსა, წვრილ დანებსა და ნემს-ქინძისთავებში... ისინი არ ხმარობენ არავითარ წონას და არც ერთ ზომას, ძლივს ასამდე ცოტა დათვლა იციან, მათში ყველაფერი გაცვლა-გამოცვლაზე არისო. როგორ

ტარეია და თითქმის ყველა ახლად მოსული ჯარები.

**ჩიფუ**. 7 ოკდომბერი (რეიტერი). უკანასკნელი საყურადღებო ამბები პორტ-არტურთან მომხდარი: არის—რამდენისამე მეორე ხარისხოვან პოზიციის აღება ერლუშანთან და იაპონურ პატარა ნაღმოსნის დაზიანება ნაღმის აფეთქებით.

**რიგა**, მოვიდა საერო განათლების მინისტრი და სასწავლებლები დაათვალიერა.

**პეტერბურგი**, სამარის გუბერნია ხოლერის მხრივ გამოცხადებულია საშიშარს მდგომარეობაში.

**ჩიფუ**, 7 ოკდომბერი (რეიტ.). იაპონელებმა განთიადისას იერიში მიიტანეს ირლუშანის გარეგან სანგრებზედ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. მეორე დღეს რუსებმა თვით მიიტანეს იერიში იაპონელთა თხრილებზედ, მაგრამ ისინიც უკუქცეულ იქმნენ. ამას შემდეგ იაპონელებმა დაუყოვნებლივ მიიტანეს ხელახლად იერიში, დაიპყრეს რკინის გზის ხიდი და მაღლობნი მის სამხრეთად. ამ სიმაგრეთა დაჭერას ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ რუსთა ყუმბარები და ტყვია შორს მანძილს ვეღარ უწევს. რაკი ეს სიმაგრენი დავიპყრეთო, ამბობენ თვით იაპონელნი, ახლა ადვილად შეგვიძლიან უკუ-ვაქციოთ გარედ ხშირ-ხშირად გამომავალნი რუსნი, იმ იმედით, რომ კვლავ ხელთ იგდონ სიმაგრენი. 29 სეკდემბერს დილის 10 საათზედ გამოვიდა შვიდი კონტრ-ნაღმოსანი. პატარა ხანს უკან გამოვიდა კიდევ ორი გემი და დაუწყეს ყუმბარების სროლა იაპონელთა მარცხენა ფრთას. როცა იაპონელთა ოთხი კონტრ ნაღმოსანი მიუახლოვდა, რუსთა გემნი ნავთსადგურში დაბრუნდნენ. უკან დადევნებული ნაღმოსნები გაჩნდნენ იქ, საცა ნაღმები იყო ჩაყრილი. უკან დაბრუნების დროს ერთი ნაღმოსანი დაეჯახა ნაღმსდა მძიმედ დაზარალდა. ნაღმოსანმა მიაღწია დალნის ქალაქსა, სადაც შეუდგნენმის შეკეთებას. ამ დროს განმავლობაში ციხის სანგრევი ზარბაზნებიდგან ესროდნენ ნავთ-სადგურს. ჩინელების სიტყვით, ერლუშანის იერიშის დროს რუსის აბჯაროსანი გემები ისროდნენ ზარბაზნებს თითქმის განუწყვეტლივ ჩრდილოეთისაკენ. რუსის ჯარების რაოდენობა პორტ-არტურში—5,000, თავისუფალ რაზმებს გარდა, რომელნიც მონაწილეობას არ იღებენ ბრძოლაში. მათი დანიშნულებაა წესიერების ჩამოგდება დ ჯაბახანების დაცვა: თბილი ტანისამოსი აკლიათ; განსაკუთრებით აკლიათ ფეხსაცმელები; ჯარის კაცებს აცვიათ ჩინური ფეხსაცმელები; ზოგიერთნი დადიან წინდების ამარა. მეციხოვნენი დაქანცულნი არიან განუწყვეტელ ბრძოლით. ქალაქი სავსეა დაჭრილებით. ფქვილი ბლომად არის, არის აგრეთვე ცხენის, ჯორის და ვირის ხორცი. იაპონელები იღებენ ხშირ მაშველ ჯარს. მათ თითქმის მოათავეს უშველებელი სათადარიგო საწყობების აშენება დალნისა და არტურს შუა. იაპონელები ბლომად ამზადებენ სურსათს გაზაფხულამდე სამყოფს. ნიუ-ჩუანშიაც შეუდგნენ ამგვარ მზადებას.

**ლონდონი**, 7 ოკდომბერი. (რეიტ.). «ნიუ-იორკ ჰერალდის» რუსის ჯარში მყოფის კორესპონდენტის შენკინის 6 ოკტომბერის დეპეშის თანხმად კუროკი სიცხით ავადაა და კვდება.

**ტოკიო**, 7 ოკდომბერი. (რეიტერი). რუსები ამაგრებენ ყველა თავის პოზიციებს შახეს და ხუნხეს შორის. ცხადად სჩანს,—რომ ისინი აპირობენ მედგარი წინააღმდეგობის გაწევას,—უკეთუ იაპონელები ხელ-ახლად ჩრდილოეთისკენ წავლენ.

**მუკდენი**, 7 ოკდობერი. (რეიტერი). დიდი ბრძოლა გათავდა. ორივე არმია სდგას ახლა ერთმანერთის წინააღმდეგ და მათ შუა მდინარე შახეა. არტილერიის ხანგამოშვებითი ბრძოლა კიდევ იყო 5 და 6 მთელი ორი დღის და ღამის განმავლობაში, რუსის ჯარის შუა გული ყოველ დღე ნელ-ნელა წინ მიდის მტრის საშინელის ცეცხლის ქვეშ, მარცხენა ფრთეზე რუსებს მშვენიერი ადგილები უჭირავთ. პირველ ფრთის რუსის ჯარი ჰხმარობს მორტირებს, რომლითაც სცდილობს იაპონელების გაყრას პატარა ბარად მდებარე ბორცვიდან. უკანასკნელი თქეშის გამო წყლები ადიდდა, რამაც გამოიწვია პონტინების საჭიროება, რადგანაც შახეზე ხიდები არაა.

**შანჰაი**. 7 ოკდომბერი. (რეიტერი). ფიქრობენ ვითომც რუსის დიდი ჯარი თავმოყრილიყოს კუროკის ჯარის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ პინტაიძისაკენ.

**ჩიფუ**, 7 ოკდომბერი. რუსებმა იყიდეს ექვსი სანაპირო ცეცხლის გემი იმ განზრახვით, როგორმე გაარღვიონ ალყა. ერთმა გემმა, რომელიც საფრანგეთის ალმით მიდიოდა, პორტ-არტურში მიიტანა სანოვაგე. სისხლის ღვრა, რომელიც რამდენსამე საათს გაგრძელდა, მოჰხდა ერლუნშანის ფერდობზე ჯარები, რომელთაც ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს, რიცხვით ცოტანი იყვნენ, მაგრამ მაინც იაპონელების მხრით სამასი მოკვდა და დაიჭრა, იაპონელი დაჭრილები ამბობენ, ჩვენი ჯარის კაცები საფრებში სიცივისაგან შეწუხებულნი არიან, თუმცა იაპონიის ჯარს თითქმის ყველას სათბური აცვია. ციხის ჯარს გულით უნდა შეიტყოს ამბავი კუროპატკინისა, რომლისაგან მოელიან ხსნას. ბალტიის ესკადრის წამოსვლის ამბავმა დიდად გაამხნევა ციხის ჯარი.

**პეტერბურგი**. გენერალ-ლეიტენანტი სახაროვი 8 ოკდომბრიდამ ამ წლისა იწერება დეპეშას: „6 ოკდომბერს ჩვენმა ჯარებმა დაზვერეს ძალა მოწინააღმდეგისა, რომელიც სდგას ფინდიაპუს სამხრეთით. მტრის მოწინავე რაზმებს სამხრეთისაკენ დააწევინეს. იაპონიის არტილერიამ, რომელმაც დაუწყო სროლა ჩვენს ჯარებს, უკან დაიწია და ჩაჩუმდა. 7 ოკდომბერს ბრძოლა არ გვქონია მტერთან. ნისლიან დღის წყალობით პორუჩიკ ზავიალოვის მეთაურობით თავ-გამოდებულ მეომრებმა გამოიტაცეს კიდევ ერთი იაპონელთა ზარბაზანი, რომელიც იქვე მტრის წინ იდგა პუტილოვის გორასთან. იაპონელებმა ასტეხეს საშინელი სროლა თოფისა, მაგრამ ნისლის გამო ვერას გახდნენ.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

---

მოსწონსთ ეს ნათქვამი მის თაყვანის მცემელ სომხებს? თუ ეს ნათქვამი მართალია, მაშინ საჭიროა, ერთიან გაცრუვდეს კაფუცინების მიწერილი წერილები ქართველების შესახებ. კაფუცინები ხშირად სწერდნენ: აღმოსავლეთის ხალხთა შორის ქართველები უფრო განათლებული, გაწვრთნილი, ზრდილობიანი და პატიოსანი არიან. ტურნეფორის მიერ აღწერილობა ხომ ერთიან ბარბაროსული და ისევ ველურ ხალხის ჩვეულებაა, ისეთისა, რომლის მსგავსი იმდროს არამც თუ აღმოსავლეთში, სხვა უფრო დაშორებულ და გადავარდნილ ქვეყნებშიაც ძნელად მოიპოვებოდა. ნუ თუ ყოველივე ეს ისტორიის და ფაქტების წინააღმდეგი არ არის? ნუ თუ ამას ერთიან არ აცრუებს ის ძვირფასი ვიქტორ ლანგლუას მიერ გამოცემული ნუმიზრატიკური კოლექცია, სადაც მოიპოვება ჩვენის მეფეების ყველა საუკუნეებში მოჭრილი ფული. ვისთვის იყო ეს ფულები მოჭრილი? ტფილისში, რომელიც აზიისა და ევროპის შუა პირველი სავაჭრო ქალაქი იყო ძველიდგანვე, როგორ ვაჭრობდენ ამოდენა სხვა და სხვა გვარის ვაჭრები? არა რომ ესრეთი აზრი ყველაზარი საისტორიო ფაქტების წინააღმდეგია. ისტორიის ნათქვამსაც რომ არ მივხედოთ, ჩვენთვის კმარა, კარგად დავუკვირდეთ ტურნეფორის სხვა ნათქვამსაც, თუ როგორ ამ თავის ნათქვამს ისევ თვითონვე ამტყუნებს, საცა, სხვათა შორის, ამბობს: „ვენეციის ოქროს ფული, ძექინები, რომელსაც მთელს აღმოსავლეთში გასავალი აქვს, ტფილისში თითო დირს ექვს აბაზად და სამ შაურადო“. ეს ცხადად ამტკიცებს, რომ ტფილისში ფული ყოფილა და აღებ-მიცემაში ჰქონიათ. ეს ჩვეულება თუ დედა ქალაქში იყო, უეჭველად მის პროვინციებშიაც უნდა ყოფილიყო. ხოლო თუ მართლა ტურნეფორს, საქართველოში გავლის დროს, მოუხდა საქონლის ხორაგში გაცვლა, მაშინ, თუ ჭეშმარიტების მთქმელია, ეს მთელ ქართველს ერს არ უნდა მიაწეროს, არამედ მარტო იმ სოფლის ხალხს. თუ მართლა რომელმამე სოფლის ხალხმა ტურნეფორის ფული არ მიიღო, მიზეზი ის-კი არ იყო, რომ სოფლელებს მისი ფული არ მიაჩნდათ და დირება არ იცოდენ, არა, იმ დროს ქართველები ისე ბრიყვები არ იყვნენ, არამედ იმიტომ არ მიიღეს, რომ უნდოდათ ხელში ჩაეგდოთ ამ საშუალებით მისი ევროპიული საქონელი, რომელიც იქ იშვიათი იყო (გვ. 181,182). ხოლო (ტფილისის) მცხოვრებთა რიცხვის სინამდვილისათვის ამას შევნიშნავთ, რომ კაფუცინები 1665—1689 წლებში სწერდენ, ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი 70, თუ 80 ათასამდე იქმნებაო. მაშ ყველას უნდა გაუკვირდეს, თუ ასე ცოტა დროს განმავლობაში, როგორ უნდა ჩამოსულიყო ამ მეოთხედ რიცხვზე. გარდა ამისა, ესეც ერთ დიდ საკვირველებად უნდა დაითვალოს, თუ მართლა ორი ათას ქართველზე მეტი არ იყო ტფილისში, როგორ იქმნა, რომ ამ მეშვიდე ნაწილს ჰყავდა თავისი მეფე, ჰქონდა თვით მმართველობა, ხოლო იმ თოთხმეტი ათასს სომეხს კი არა ჰყავდათ თავისი საგანგებო და საკუთარი უმაღლესი მთავარი და მცირე რიცხვის მფლობელობის და ბრძანების ქვეშ იყვნენ?! (გვ. 183)... ტფილისის დიდებულის სიონის და ტფილისის გასომხება კი ჯერ აქამომდე სომხებსაც არ გაუბედნიათ. (გვ. 184).

საქმის შესწავლამ აი რა აღმოაჩინა და, თუ კვლავაც არ მოაკლდა ჩვენ საისტორიო ნამყოს მკვლევარი მუშაკი, კიდევ უფრო ბევრი რამ აღმოჩნდება განმახასიათებელი ქართველთა და სომხთა ვინაობა-რაობისა და ურთიერთობისა, რომლის გაუმჯობესობას უნდა სცდილობდნენ, როგორც ოდესმე, მაგრამ სამწუხაროდ იშვიათად, საქართველოს და სომხეთის ჭეშმარიტნი მამულიშვილნი.

კლდია.

---


# ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

**ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში** დაიწყო მუშაობა. მიიღებენ შესაკერად

# კაბებს

ძლიერ იაფად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს.

იქვე, სახელოსნოს მეორე განყოფილებაში, მიიღებენ შესაკერად ყოველ გვარ **თეთრეულს**, **მეტკებს** და მოსაქარგად აბრეშუმს—ფერადის ძაფებით, მუთაქა ბალიშს და სხვ.

**ჭრა-კერვის** კურსებზედ მიიღებენ მოზრდილ ქალებს.

**მისამართი**: ვერა, მოსკოვის ქუჩა, № 6.

(4—344—4).

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას

# სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

# ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

გამოვიდა და ისყიდება

# კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

# კ ა ლ ო შ ე ბ ი ს ა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

**უდიდესი ჯილდო**

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

# რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს.




**რეზინის კალოშების** ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

# „ლეოპოლდ ნიეშელერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისსა** და ტაშკენტში.

(60—58).